<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უკონტროლო მიგრაციასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გაძლიერების შესახებ

ვინაიდან,

რუსეთის ფედერაცია ახორციელებს არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის არამხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ საქართველოს, შავი ზღვის რეგიონისა და მთლიანად ევროპულ უსაფრთხოებას;

რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული აქვს აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და ახორციელებს მათ სრულმასშტაბიან ანექსიას;

რუსეთის ფედერაცია არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და მის ფუნდამენტურ პრინციპებს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კი ის წარმოადგენს დესტაბილიზაციის ძირითად ფაქტორს;

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადებები და მოქმედებები მიმართულია საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური საგარეო კურსის მკაფიო ცვლილებისკენ;

რუსეთის ფედერაციამ, მისი საერთაშორისო იზოლაციის ფონზე, შესაძლოა გამოიყენოს საქართველო მასზე დაწესებული სანქციების გვერდის ავლის მიზნით;

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის უვიზო და უკონტროლო მიგრაციული რეჟიმის გაგრძელება შექმნილ ვითარებაში ქმნის როგორც პოლიტიკურ, ისე უსაფრთხოების კუთხით არსებულ რისკებს და საბოლოო ჯამში აზიანებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს:

- ზრდის საქართველოს დემოკრატიული სამყაროსგან იზოლაციის რისკებს;
- ზრდის საქართველოს, როგორც ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მქონე სახელმწიფოს საერთაშორისო რეპუტაციის დაზიანების რისკებს;
- ზრდის რუსეთის ფედერაციაზე კიდევ უფრო მეტად ეკონომიკური დამოკიდებულების რისკებს;
- ზრდის რუსეთის ფედერაციის ინტერესებში მოქმედი სხვადასხვა ჯაშუშური ქსელების, შესაძლო დივერსიული და სხვა ანტი-სახელმწიფოებრივი ფარული საქმიანობის განმახორციელებელი ჯგუფების მოქმედების რისკებს;
- ამცირებს, ან სრულად შეუძლებელს ხდის საქართველოში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უკონტროლო მიგრაციისა და მათი საქმიანობის ეფექტიან მონიტორინგსა და კონტროლს.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უკონტროლო მიგრაცია და მათი საქართველოში გახანგრძლივებული ყოფნა მნიშვნელოვნად ზრდის ეკონომიკურ რისკებს, რაც, მათ

შორის, უკავშირდება მათ მიერ ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის კომერციული საქმიანობის და უძრავი ქონების მასობრივი შესყიდვების დინამიკას, გრძელვადიანი ბინადრობის მოწმობების აღებას და ამ ქმედებებით, თუ სხვა აქტივობებით საქართველოს ეროვნული ინტერესების დაზიანებას;

რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი ფრენების აღდგენა შესაძლოა რუსეთის ფედერაციას დაეხმაროს, გვერდი აუაროს ევროკავშირის და სხვა სტრატეგიული პარტნიორების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს/სანქციებს;

მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და არსებული მკაფიო უსაფრთხოების რისკების ფონზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საქართველოში მიგრაცია სახელმწიფოსგან მოითხოვს მიგრაციის მკაფიო პოლიტიკის ფორმირებას და მისი განხორციელებისთვის ეფექტიან ინსტიტუციურ კოორდინაციას.

საქართველოს პარლამენტი აცნობიერებს რა, რომ

ზემოაღნიშნული რისკების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთვის არსებობს რეალური შესაძლებლობა, მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, მნიშვნელოვანია, საქართველომ ხელისუფლებამ ფართო გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების კონტექსტში განიხილოს რუსეთთან პირდაპირი ფრენების შესაძლო აღდგენის საკითხი და არ გადადგას ნაბიჯები, რაც დამატებით რისკებს და საფრთხეებს შეუქმნის ქვეყანას;

ევროპული ოჯახის წევრობისაკენ მიმავალი გზა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან რეფორმებთან ერთად, აგრეთვე უკავშირდება ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის კარგად გააზრებას და იმ პრინციპების შესაბამისად მოქმედებას, რაც მხოლოდ ზრდის და არ ამცირებს ევროპელი მოკავშირეების ნდობას და ამავდროულად ხელს უწყობს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვას;

მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ეროვნული უსაფრთხოების ზომები საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შესაბამისმა უწყებამ, უნდა იმოქმედონ მყისიერად და ეფექტიანად, რათა:

1. შეიზღუდოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისათვის საქართველოში უკონტროლო მიგრაცია და ამ მიზნით, დაწესდეს სავიზო მიმოსვლის რეჟიმი, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული განაპირობებს მიგრაციის ეფექტიან კონტროლს და რისკების მინიმუმამდე შემცირებას;

2. საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან არ აწარმოოს მოლაპარაკებები პირდაპირი ფრენების შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით, სანამ არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარება არ შეიცვლება და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ზემოხსნებული რისკები არ იქნება სრულად ნიველირებული.